



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კურტანიძე ლუკა (ელდარ) ნოდარის ძე



ლ. კურტანიძე

კურტანიძე ლუკა (ელდარ) ნოდარის ძე (დ. 16. IV. 1972, ქვემო ფშაფი, გულრიფშის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების ორგზის მესამე პრიზიორი (ატლანტა, 1996; სიდნეი, 2000); მსოფლიოს ორგზის (2002-03) და ევროპის ხუთგზის (1996-98, 2001, 2005) ჩემპიონი, სამგზის მეორე (1993, 1995, 2002) და მესამე (1999) პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1995) და მესამე (1999) პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992). ლაიფციგის საერთაშ. ტურნირის გრან-პრის მფლობელი. მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული.

დაამთავრა თსუ-ის ფოთის ფილიალი (1996). საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი (2012-14). საქართველოს შსს აკადემიის პრორექტორი (2012-15). საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის წევრი (2015-16). საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1996, 2002-03). დაჯილდოებულია ღირსების (2000), ვახტანგ გორგასლის II (1997) და III (2000) ხარისხის ორდენებით; მიღებული აქვს სპორტის რაინდის წოდება (2002).

---